ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

11

გამოცემის 57-ე წელი, (№ 1573)· ივნისი, 1980, ფასი 20 კაპ·




ნომერი ეძღვნება ბუნების დაცვის ერთთვიურს საქართველოში

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ვერ იცანი?
— მაგი არ იყო, შარშან ქორბუდას მოკვლისათვის სამი წელი რომ მიუსაჯეს?!.

# ინტერვიუ ნიკო კეცხოველთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— ბატონო ნიკო, თქვენთვის ცნობილია, თუ დედამიწაზე დღითიდღე როგორ იზრდება გადაშენებულ მცენარეთა „შავი სია“ და ამას ჩვენი პლანეტის აუნაზღაურებელ დანაკლისად თვლიან. რა ღონისძიებებს ახორციელებს თქვენი ინსტიტუტი იშვიათი, ან გადაშენების გზაზე მდგარი მცენარეების გადასარჩენად?**

— აი, ეს ზამბახები, აგერ გაზონში, რომ თავს იწონებენ, წითელ ხიდთან ვნახე და იქიდან წამოვიღე. მოგეხსენებათ, ქართული ზამბახი ჩვენი ბუნების მშვენებაა და რა სამწუხაროა, რომ იგი „წითელ წიგნშია“ შეტანილი! — მას გადაშენება ემუქრება! მის ბედს იზიარებს აგერ ის იორდასალამაც, მისი გავრცელების არეალი ქართლია, უფრო სწორად, იყო!.. სოფელ ტირძნისამდე ვრცელდებოდა, ახლა კი!..

აი, თუნდაც ეს დაკვირტული პიონი ვნახოთ: სადაც არის კაშკაშა წითელ ყვავილებად გადაიშლება. ესეც იშვიათი მცენარეა. როცა იგი ვიპოვე, ისე გამეხარდა, რომ ჩემი შვილიშვილის სახელი დავარქვი — მაიკოს იორდასალამი ჰქვია. ერთი სიტყვით, ჩვენი ბოტანიკური ბაღი ასეთი მცენარეების თავისებური ნაკრძალია. აქ მოხვედრილ არც ერთ ენდემიკს გადაშენება აღარ უწერია, მაგრამ მარტო ბაღები და პარკები რას გახდებიან?! საჭიროა ისე მოვამზადოთ ხალხის შეგნება, რომ ეს იშვიათი მცენარეები თავს ყველგან უშიშრად გრძნობდნენ! ამისათვის კი საჭიროა, ვიცნობდეთ მათ!

**— საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც დიდი ხანია შედგენილია „წითელი წიგნები“, სადაც შეტანილია ის ცხოველები და მცენარეები, რომელთაც მოსპობის საფრთხე დაემუქრა. რა კეთდება ამ მიმართულებით საქართველოში? როდის გვექნება ქართული „წითელი წიგნი?“**

— ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერთა კოლექტივმა კარგად შეისწავლა რესპუბლიკის ფლორა, მისი ენდემური შედგენილობა და დადგენილია, რომ გადაშენების საფრთხე ემუქრება ორასამდე მცენარეს, მათ რიცხვშია ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიც არის ძელქვა, ლაფანი, მეგრული არყი, პონტური მუხა და სხვები. ეს მცენარეები შეტანილია კიდეც ქართულ „წითელ წიგნში“, რომელსაც წელს გამოსცემს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. იქ ბევრს ნახავს საგანგაშოს ქართველი მკითხველი.

**— თქვენი ინსტიტუტის წინაშე მდგარი სადღეისო პრობლემებიდან რომელს გამოჰყოფდით?**

— ინსტიტუტის მიერ დასაძლევი ძირითადი პრობლემაა — შეისწავლოს ველური და კულტურული მცენარეები, მათი წარსული და მომავალი, გამოავლინოს მათი საწარმოო ძალები და დასახოს ჯიშთა გაუმჯობესების გზები. ეს ძირითადი პრობლემა დანაწევრებულია 43 თემად. გარემოს გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ცალკეული ზონებისათვის ისეთი მცენარეების შერჩევა-გაშენება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჰაერის გაჯანსაღებას.

**— რა კეთდება პრაქტიკულად ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სარეველებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან დასაცავად?**

— ჩემი წერილი „სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერების შესახებ“ 24 მარტს თავის სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ. შემუშავებულია საგანგებო ბრძანება „საკარანტინო და სხვა სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. საქმე ის არის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან გავრცელდა ადამიანის ჯანმრთელობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის საშიში საკარანტინო და სხვა სახის სარეველები, როგორიც არის ავშანფოთლიანი ამბროზია, კაროლინის ძაღლყურძენა, აბრეშუმა, ბირკა, მინდვრის გვირილა, შალაფა და სხვა.

**— რამ განაპირობა მათი გავრცელება?**

— თავიდათავი მიზეზი ის გახლავთ, რომ სოფლის მეურნეობის სამმართველოები და საწარმოო გაერთიანებანი, მცენარეთა დაცვის სადგურები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს, რის გამოც კნინდება ნათესი ნარგავებისა და სათიბ-საძოვრების მოსავლიანობა.

**— რა ქმედითი ღონისძიებანია დასახული მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

— საკარანტინო და სხვა სარეველების წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა ჩავაბათ ფართო საზოგადოებრიობა! სამინისტრომ დაავალა შესაბამის უწყებებს, რათა სამუშაო სეზონის განმავლობაში ორჯერ — ივნისსა და აგვისტოში მოაწყონ სარეველებთან ბრძოლის კვირეულები და ჩააბან მასში მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

მჯერა, რომ მონდომება და საქმის სიყვარული თავისას გაიტანს.

## გული საგულეს რომ გვქონდეს!..

ჰე, ღმერთო ერთო, თუ შეჰქმენ
ფლორა-ფაუნით ბუნება,
მიწისა, მზის და მთვარისა
შეუჩერებლივ ბრუნება!..
რად შთაუნერგე ზოგ-ზოგებს
ავკაცობისკენ ცდუნება —
წაწყმიდოს წყალი, ჰაერი,
კაცთ მოუშხამოს გუნება?!

მიბრძანეს „ქება“ ყოველთა —
ყმაწვილკაცთა თუ ხნიერთა,
ხისმჭრელთა, წყლის მომწამვლელთა,
ქურდთა და ბრაკონიერთა,
უკულმა მხვნელთა, მთესველთა,
უნდილთა და უდიერთა,
უზრდელთა, უსირცხვილოთა,
არა შემცვლელთა იერთა!..

გაგრას ერთი სოფელია
მშვენიერი — მეხადირი,
იქ ამბავი დატრიალდა,
გაიკვირვებს თვით ნადირი:
ამოჩეხეს, ამოკაფეს
ხის ჯიშები ძვირზე ძვირი...
შემდეგ სულმთლად ამოძირკვეს,
არ დატოვეს არცა ძირი!

გუდაუთას ასეთივე
აქვს სოფელი — აგარაკი,
მუხას, წაბლსა და წიფელას
აქაც შეხვდათ ფათერაკი!
მიწას ფერი შეეცვალა,
მწვანე გახდა, ფერად ხაკი!..
სიმართლეა! არ გეგონოთ
არც ზღაპარი, არც არაკი!

ახლა მოგიყვეთ ამბავი
ქალაქის ოჩამჩირისა,
მეფრინველეთა საქმენი,
მშენებლობისა ძვირისა:
გამწმენდი ნაგებობიდან
სკორე ზღვას არ იძირვისა!..
სიმყრალით შეწუხებული
ბაყაყი მოქვში ყვირისა!

ათი ათასი ტონისა
ამომხრჩოლ-ამომქაჩველი,
გოგირდის, ნახშირჟანგისგან
გაჟანგებულა ტყვარჩელი.
„ცოფს“ და თბოსადგურს დაჰყურებს,
ფიქრი აწუხებს მტანჯველი:
ვაითუ, მღვრიე ღალიძგამ
ითხოვოს მძიმე სარჩელი?!

კაკალივით კერკეტ ამ გულს,
მსურს, რითმები გამოვძალო:
ბევრჯერ გაქეს და გადიდეს
აფხაზეთის პატარძალო —
შენ, სოხუმო, ნაზო, ტურფავ,
მაგრამ მხნევ და ამორძალო,
იქნებ „დეპოს“ შენს ნაზ თმებზე
ნავთის დასხმა აუკრძალო?!

სოფელში ძაღლი თუ არ ყეფს,
არ ისმის მამლის ყივილი,
ტყიდან კი — ხმელი წიფლისა
და შვლისა ნუკრის ჩივილი,
თუ ჩხიკვთა ქორწილს არ ავსებს
ჩიტების ჟივილ-ხივილი, —
გული საგულეს თუ არ გვაქვს,
— გულმა რა იცის ტკივილი?!

აფხაზეთის ბუნების დაცვის ზონალური
ინსპექციის დავალებით —

**ანზორ კუტალაძე**



# იცით თუ არა თქვენ...

**რომ** უგუნურმა რწყვამ თეთრი წყაროსა და ქარელის რაიონების სოფლებში — შავსაყდარსა და მოხისში — ძვირფასი მიწები... დააჭაობა?

**რომ** ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ სოფელ ჭითაწყარის სახნავი ფართობები სანაგვედ აქცია?

**რომ** ბათუმის ნავსადგურის ბარჟები ინერტულ მასალას იტაცებენ შავი ზღვის იმ ნაპირიდან, რომელსაც ამაგრებენ ...კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო რაზმები?

**რომ** მოუვლელობის გამო ჯანდარის ტბაში გაჩნდა... კუნძულები. ჭიაურის წყალსატევები იქცა... სათიბად, ხოლო ტყიბულის წყალსაცავი... საშიში ტექნოგენური მასალის სალექრად?

**რომ** შარშან შესწავლილი 750 სასოფლო წყალსადენიდან 366-ს არა აქვს... სანიტარული დაცვის ზონა?

**რომ** თავიანთი ტერიტორიების კაპიტალური დაცვის მიზნით გაგრის ციტრუსების და კომუნალურმა მეურნეობებმა დახარჯეს ორი „ივერიის“ ტიპის სასტუმროს ასაშენებელი თანხა და... დაანგრიეს მდინარე ბზიფის ორივე სანაპირო?

**რომ** ტრესტ „ინგუმშენის“ პირველი სამშენებლო სამმართველო თბილისის გარემოს სიწმინდისათვის ესოდენ საჭირო საკანალიზაციო კოლექტორის აშენებს... ოცდაათი წელია?

**რომ** საქართველოში 25 ათასი მდინარეა? რომ ჰიდრომშენებლებმა ელსადგურებისა და სარწყავი სისტემების უთევზსავალო კაშხალებით გადაკეტეს უმრავლესი მათგანი და... წყლის ბინადართ მოუსპეს როგორც აღმასვლის, ისე გამრავლება-ქვირითობის საშუალება?

**რომ** საქართველოს ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის მთავარი გამაჭუჭყიანებელია... ძრავამოუწესრიგებელი ავტომობილი?

**რომ** ანანურისა და თიანეთის საბჭოთა მეურნეობებში მინერალურ სასუქებსა და შხამქიმიკატებს, სპეციალური საწყობის ნაცვლად, ინახავენ... ღია ცის ქვეშ?

**რომ** თელავში ბავშვთა საავადმყოფოს მშენებარე კორპუსის ამწე კოშკურის დასამონტაჟებელი ადგილისათვის მოჭრეს... 600 ძირი 40—50-წლიანი ნაძვი?

**რომ** ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის, სიღნაღის რაიონის სოფელ გამარჯვებისა და ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საზანოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები დ. კახნიაშვილი, ბ. თარაშვილი და კ. აბესაძე ერთმანეთს ეჯიბრებიან... კაკლის, ფიჭვისა და რუდუნებით გაშენებული სხვა მცენარეების აჩეხვაში?

**რომ** ტრესტ „კოლხეთმშენის“ მუშაკებმა მძიმემუხლუხებიანი ტრაქტორებით მიწაში ჩამარხეს... 70 ჰექტარი კოლხური ტყე?

**რომ** ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. ციცქიშვილი) აჩეხეს 23 ჰექტარი თხუთმეტწლიანი ვაშლის ბაღი, რომელიც, თურმე, რიგთაშორისებში დათესილი ერთწლიანი პირუტყვის საკვები ბალახების მექანიზებული წესით აღებას უშლიდა ხელს?

**რომ** ანაგის, ბოდბისხევის, ზემო ქედის, ზემო მაჩხაანისა და ოზანის კოლმეურნეობებმა პირაღებით მოსპეს 32 ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლი და... დაამზადეს ვენახის საყრდენ-საბიჯგი სარები?

**რომ** ზოგ-ზოგი ჩითახევჭესელი მუშაკი უფრო სარფის გულისთვის გუშაგობს კაშხალს... თევზით ხელს ითბობს?

**რომ** გოგია ჭაუჭიძის თხების შიშით... ნერგი ვერ დაურგავთ ოჯრონიკიძის რაიონის სოფელ ღორეშაში?

**რომ** დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მესვეურებმა მძლავრი ტექნიკით მოთხარეს ისტორიული დიდველის ასწლოვანი პანტნარი ტყე და... დათესეს იონჯა, კორიანდარი და ესპარცეტი?

**რომ** ქუთაისის ახლოს, სათაფლიაში, სრული განადგურების საფრთხე ემუქრება 1933 წელს მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანის მიერ აღმოჩენილ ბუნების უნიკალურ ძეგლს — დინოზავრთა ნაკვალევს, რომლის ხნოვანებაა... 120 მილიონი წელი?

**რომ** საქართველოს სსრ „წითელ წიგნში“ მოცემულია ცნობები იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ ცხოველთა 65 და მცენარეთა 161 სახეობის, აგრეთვე არაცოცხალი ბუნების 76 სწორუპოვარი ძეგლის შესახებ?

**რომ** საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილებებისა და ზონალური ინსპექციების მიერ მარტო 1979 წელს გამოვლენილია... ბუნების (მიწის, წიაღის, წყლის, ჰაერის, ბუნების ძეგლის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს) უგუნური ხელყოფის 1971 ფაქტი?

**რომ** ამ დანაშაულობათა კატალოგის პირველ თავში (სასჯელი 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა) იხსენიებიან მარინეს არხისა და ჯანდარის ტბის მომწამვლელები — ბუნების მტრები ო. ისმაილოვი და ა. კოლოსოვი?

**რომ** ყოველი ზემოთქმული და ათასი მსგავსი საქმე, რასაც მშობლიური ბუნების დაცვა და მისი სიმდიდრის გონივრული და ფრთხილი გამოყენება ჰქვია, არ არის მხოლოდ ბუნების დაცვის სამსახურის მუშაკთა საქმე — ეს მთელი ერის საქმეა, ეს თქვენი და ჩვენი საქმეა?

# მწვანე ნიანგი!

### დარისპანის გასაჭირი

**ჩვენო ნიანგო!** მე დარისპან გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე (იგივე ბესარიონ კოტორი), ვცხოვრობ **ქ. ზესტაფონში,** სტაროსელსკის ქუჩაზე. ვიცი, როგორც კი ქუჩა ვახსენე იმ წუთშივე გაიფიქრებდი, ქუჩის კეთილმოწყობას უჩივის ალბათო. ნეტავ, ეგრე იყოს საქმე! — ჩემი ხელით მოვკირწყლავდი თავიდან ბოლომდე! სხვათა შორის არც სახლმმართველობას ვუჩივი, არც საყოფაცხოვრებო მომსახურებას, არც მეზობლებს და არც არავის.

ბედს ვუჩივი, მხოლოდ ბედს! — იმას, რომ **ზესტაფონელი** ვარ და იმას, რომ (ღმერთო, ნუ მიწყენ!) ხუთი შვილი მაჩუქა განგებამ. დიახ, ხუთი შვილი! სწორედ ეს ბედნიერება გახდა ჩემი უბედობის მიზეზი.

კარგად მოგეხსენებათ **ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის** ამბავი და ისიც, რა დღეში გვაგდებს აქაურ მცხოვრებლებს (გარემოზე არაფერს ვამბობ) **მისი მილებიდან ამონაბოლქვი კვამლი და მტვერი.** პირადად მე ეგოისტი არ ვარ და, რადგან ადამიანი ისეა გაჩენილი, ერთ დღეს მაინც უნდა მოკვდეს, მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ იმას, დღეს გამომივა წირვა თუ ხვალ, მაგრამ...

მაგრამ **ზესტაფონელ ბიჭებზე ქალებს რომ არსად ათხოვებენ,** ამას რაღა ეშველება?! არადა, იმ ჩემი ხუთი შვილიდან ორი უკვე დასაქორწინებელია.

ვაჟები იქით იყოს (ბიჭები არიან და ცოტა თვითონაც შეიწუხონ თავი!), იმ სამმა ქალიშვილმა რაღა ქნას? ვინ წაიყვანს **ზესტაფონის ჰაერზე გაზრდილ გოგოებს?!**

ასე რომ, ამ ჩემი დასაქორწინებელი შვილების შემყურე ისეთ დღეში ვარ, არ ვიცი ფეროშენადნობთა ქარხნის რომელ საკვამლე მილზე ჩამოვიხრჩო თავი!

იქნებ შენ მირჩიო რამე?

**ნიანგი: დარისპან ბატონო, თავის ჩამოხრჩობა რა თქვენი საკადრისია?! ღმერთს კაცი განა იმისთვის გაუჩენია, დაბადებიდან განწირულად გრძნობდეს თავს?! ხომ გაგიგონიათ, ეძიებდე და ჰპოვებდეო! იქნება მარტო ზესტაფონში არ ჭუჭყიანდება ჰაერი და არ ბინძურდება გარემო? გირჩევთ მოინახულოთ ქალაქები — ქუთაისი, ბათუმი, ტყვარჩელი, კასპი, რუსთავი, თვით ჩვენი საყვარელი დედაქალაქი თბილისი, გნებავთ, მაღალმთიანი სოფლები —ურავი და ცანა!.. დარწმუნებული ვარ, გულზე მოგეშვებათ და უფრო იმედიანად შეხედავთ** თქვენი შვილების მომავალს! ვფიქრობ, ჩამოთვლილი ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებს არავითარი საფუძველი არა აქვთ თქვენი ქალ-ვაჟების დაწუნებისათვის. წინდაწინ გილოცავთ და იმედი მაქვს, ქორწილებს არ გამოგვაპარებთ!



უტექსტო ხუმრობები: მ. აბაშიძის, დ. თოთიბაძის, ლ. მართაშვილის, რ. ჯაშის, მ. უძილაურის და ი. ქეინაშვილისა.





**ბორჯომის** ერთ-ერთ ხეობაში ბრაკონიერებმა თევზის მოპოვების მიზნით, მოწამლეს მდინარე, რომელსაც ემსხვერპლა სსრ კავშირის მხოლოდ ამ რეგიონში გავრცელებული იშვიათი სახეობა — **სალამანდრა.**

**არქეოლოგებმა** ბორჯომის ხეობაში, ერთი ადგილის გათხრისას, ჭიანჭველების მიერ გამოხრული სალამანდრა იპოვეს, როგორც გაირკვა — სალამანდრათა სამეფოს მალემსრბოლი. მის თავთან დალუქული ბარათიც აღმოჩნდა ასეთი უცნაური წარწერით: **„გახსნი, ინანებ, არ გახსნი, ინანებ!".**

დიდხანს იმტვრიეს თავი არქეოლოგებმა, ხანგრძლივად ითათბირეს და ბოლოს, როგორც იქნა შეთანხმდნენ, გაეხსნათ ბარათი. პატივი ამისა ექსპედიციის მეთაურს მიაგეს. იგი ხელების კანკალით ხსნიდა საგულდაგულოდ დალუქულ პერგამენტს, სხვები კი შიშითა და ნახვის სურვილით ანთებული თვალებით მისჩერებოდნენ.

როგორც ჩანს, შეცნობის სურვილმა სძლია იდუმალის შიშს და წერილიც გაიხსნა. მეთაურმა კითხვა დაიწყო:

**„ძვირფასო ძმაო, ნიანგო! დიდი უბედურება დაატყდა ჩვენს სამეფოს, ყველა მტერზე უსასტიკესი მტერი — ავი ადამიანი აღძრულა ჩვენს წინააღმდეგ.** რაღაც ფხვნილები ჩაყარეს მდინარეში, თავბრუ დაგვახვიეს, გონება და გზა-კვალი აგვირიეს, ლიბრი აგვაკრეს თვალებზე. იმუსრება ირგვლივ ყოველი — ყრმა თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი, სუსტი თუ ძალგულოვანი...

მეფე-მეუღლე ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე, განადგურდა სამეფოს საუკეთესო სპა. ხსნა და საშველი აღარ არის!

ეს უკვე მეთერთმეტე მალემსრბოლია. თუ არ მოგვეშველე, თუ გაერთიანებულად არ აღვუდექით ულმობელ მტერს, შენც მალე გეწევა აღსასრული კაცთა უსასტიკესთა მოდგმის — ბრაკონიერთა მიერ.

**დედოფალი სალამანდრათა".**

ბარათის შინაარსმა ძალზე დაამწუხრა არქეოლოგები. გადაწყვიტეს, წერილი სასწრაფოდ ეფრინათ ნიანგისაკენ, რათა ეხსნათ იგი და არ ამხდარიყო სალამანდრათა დედოფლის ავბედითი წინასწარმეტყველება, მაგრამ...

არქეოლოგები დაიბნენ, ვერ გაერკვნენ, ვის ეკუთვნოდა წერილი — ცხოველ **ნიანგს** თუ ჟურნალ „ნიანგს"?

ალიო აბაშელი



— ტყე შევუნახოთ შვილებს!









**ძმაო ნიანგო! ჩვენი საუკუნის** სამოც-სამოცდაათიანი წლებიდან მთაწმინდის პლატოზე შეუფერხებლად ეწყობა ძაღლთა გამოფენები, რომლებშიც მონაწილეობენ უსახლკარო მურიები. მათი ჯაჭვაწყვეტილობით გამოწვეული დაკბენილობა გამოხატულია იმ პირთა ბარძაყ-წვივებზე, ვისაც მთაწმინდის სუფთა ჰაერი უნდოდა ესუნთქა.

ამიტომ ყველას, ვინც აქ დასვენებას განიზრახავს, მამაშვილურად ვურჩევთ, ცოფის საწინააღმდეგო შრატი გაიკეთოს!

ხროვაში მონაწილეობს 30-მდე აჟღეფებული ძაღლი. გამოფენა „ცუგრია — 80" მუშაობს მთელი დღე-ღამის განმავლობაში. მნახველებს ვთხოვთ, თან იქონიონ იოდი, ბამბა!.. ამასთან აუცილებელია, დაიმგზავრონ ლომების ერთი მომთვინიერებელი მაინც!

გიწვევთ ყველას, ვისაც უპატრონო ძაღლების პატრონობა გავალიათ!

### ლეკერაში ლეკერ-ლეკერ...

**პატივცემულო** ნიანგო! ამ წერილს **წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარიდან** გწერთ. გაოცდები პირდაპირ, ისეთ წვრილმან რამეზე აგიშლიან ნერვებს! აბა, თუ ვინმე მოძებნის საქართველოს რუკაზე ლეკერას! ჰოდა, ლეკერას წყალს დავლევთ, თუ ვინმემ ეგ მოახერხოს!

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ლეკერა ერთი პატარა, უმნიშვნელო მდინარეა, უფრო სწორად, ღელეა, ჰოდა, ღირდა კი ამ პატარა ღელუკელას გულისთვის ამდენი დავიდარაბის ატეხა?



ენგურჰესის მშენებლობის ჰიდროსპეცმშენის სამმართველოს ტერიტორიიდან და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს საწვავ-საცხები მასალების საწყობებიდან გამოჟონილი მაზუთით ბინძურდება ლეკერა! შიგ ყოველგვარი ცოცხალი ორგანიზმი მოისპო! ადგნენ და ეს საკითხი ჯერ პარტიის წალენჯიხის რაიკომთან არსებულ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე, შემდეგ სახალხო დეპუტატების მე-16 მოწვევის რაისაბჭოს მე-13 სესიაზე განიხილეს. არაფერი რომ არ გამოვიდა (ან რა გამოვიდოდა მაზუთიანი წყლიდან?!) წერილი მოსწერეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

ამ ხალხისას ვერაფერს გაიგებ! „შიგ ყოველგვარი ცოცხალი ორგანიზმი მოისპოო", „ალარ არის შიგ ტობი და წვერაო!" მოდი და ელაპარაკე! ძვირფასო ნიანგო, სინდისს გეფიცებით, თუ ვტყუოდეთ: აქაურები, ხუთშაბათს, აქაოდა, თევზის დღეაო, სათოფეზე არ ეკარებიან რესტორნებს, სასადილოებს! დავიჯერო, ლეკერაში დაჭერილ ტობსა და წვერაზე იკვნეტენ თითებს!?

ვფიქრობ, ეს საქმე ვინმე ინტრიგანისა და ჩასაფრებული კაცის წამოწყებულია, თორემ მეტი გასაკრიტიკებელი ვერ მოძებნა ამხელა დაბაში? რატომ არ არის თუნდაც ერთი სიტყვით ნახსენები ლეკერას ბედქვეშ მყოფი შქაშლალი, ლეუბილეშლალი და ლალვაჟია, რკინიგზის სადგურის ირგვლივ მდებარე ტერიტორია; ან ის რა ჭაობია ჩემდგარი მდინარე მაგანის ხიდთან და რომ ზედ ჭაობზე (ამას უჭკუო კაცი ვერ მოიფიქრებდა!), გზის პირად, დაუდგამთ ტუალეტი, ან თუნდაც ის, რომ ჯვარის ქუჩებში გავლილი ცემენტის საზიდი მანქანებიდან ავარდნილი ამ უკეთილშობილესი სამშენებლო მასალის მტვერით (მანქანის გადარეცხვას რაღა უნდა?) მთელი სოფელი ემშმლება კაციან-ქალიანა, ქალიან-ვაჟიანა, ფლორა-ფაუნიანად?!.

რას ნუ იფიქრებთ, თითქოს მავანსა და მავანს ანგარიშს ვუსწორებდეთ. სულაც არა! განა არ ვიცით რომ მაზუთიან წყალში არაფერი იხარებს, უფრო მეტიც — მის ირგვლივაც გადაბუგავს და გადაჭამს ყველაფერს? მაგრამ რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? განა **ლეკერას იქით არ უნდა გავიხედოთ?** რატომ ვუწნავთ ერთმანეთს ნერვებს? განა მარტო ჯვარში აჭუჭყიანებენ გარემოს? სხვაგანაც, სხვაგანაც! მაგალითად: **ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, გორის, თბილისის, რუსთავის, გარდაბნის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ძლიერ ჭუჭყიანდება მდინარე მტკვარი, რომელშიც დაუსუფთავებლად ჩაედინება 460 მლნ კუბმეტრზე მეტი წყალი. მარტო რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან ამ მდინარეში დღეღამეში 200 ტონა შეწონილი ნაწილაკი ჩადის.**

ეს კიდევ არაფერი! **ყოველწლიურად დასავლეთ საქართველოს მდინარეებსა და შავ ზღვაში 900.000 ტონაზე მეტი მექანიკური გამაჭუჭყიანებელი ნივთიერება ჩადის.**

**მდინარე ყვირილაში „ჭიათურმანგანუმის" სამთომადნო კომბინატიდან ყოველწლიურად ჩაედინება 65 ათასი ტონა მანგანუმი; 500 ტონა კიდევ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან.**

**მდინარე ღალიძგაში ტყვარჩელის ჰიდროელექტროსადგურიდან დღელამეში ჩადის დაახლოებით 160 ტონა ნაცარი, „საქქვანახშირის" გაერთიანების საწარმოებიდან — 650 ტონაზე მეტი ქვანახშირის შლამი და ფუჭი ქანები!..**

ასე რომ, ძმაო ნიანგო, რამე გასაკვირი და განსაკუთრებული ჯვარელებს არ სჭირთ. მაშ, რაზე ვწერთ ამდენ საჩივარს, რატომ **ვწამლავთ** ერთმანეთს და რის გულისათვის ვუთხრით პატიოსან მუშაკებს ნაადრევ სამარეს?!

თქვენი და გარემოს კეთილისმყოფელი

ციტნე ბადიანი

# „ნიანგის" ... ნათქვამი

დიდ გულისტკივილს გამოვთქვამ
ამ კრიტიკული სტროფებით:
მოიშალა და გაუქმდა
ზოგან მთიანი სოფლები!

იქ ბარაქიან საძოვრებს
სანთლითაც ველარ დაძებნით!
არ ჩერდებიან სოფლებში,
გარბიან ახალგაზრდები!..

მთა უსაძოვროდ რა მთაა,
ან ტყე რა ტყეა უშველოდ?!
სოფელი უახალგაზრდოდ
არ დაგვრჩეს! — დროზე ვუშველოთ!

ზოგმა საწარმომ კანონად
მარტო გეგმები იწამა, —
გვახვევს ჭუჭყ-ბოლქვის მარწუხებს,
მიწას, წყალს, ჰაერს გვიწამლავს!..




საქართველოში ძველთაგან
აგებდნენ გამძლე ტერასებს!..
დღეს ტერასები ახალი
ორიოდ თვესაც ვერა ძლებს!

ვერ ალიკვეთა გარეწარ
ბრაკონიერის თარეში! —
ხოცავს ნადირსაც, ფრინველსაც,
დღეს დააცილებს, — ხვალ ესვრის!

თევზსაც არ იჭერს იმ ხერხით,
რაც წინაპარმა ასწავლა, —
ხმარობს დენსა და დინამიტს,
შხამქიმიკატით წყალს წამლავს!..

თუ გვინდა, ნადირ-ფრინველი
გვყავდეს მრავალზე მრავალი, —
თოფს სათოფეზე არ უნდა
ეკარებოდეს არავინ!

მთის დამრეც ფერდზე თესავენ
ზოგან ერთწლიან კულტურებს!
ეს აკრძალული რომ არის, —
ამას არავინ უყურებს!





ისედაც მცირემიწიან
ჩვენს მამულს მიწა აკლდება
და სოფლის ზოგი თავკაცი
ამაზე ფიქრობს ნაკლებად!

ნარეცხში მანგანუმისა
ულვთოდ დაგვეხრჩო ყვირილა!..
მას ვერც ყვირილმა უშველა,
ვერც — შავი ცრემლით ტირილმა!

ველარც ბუტბუტებს — სავსე აქვს
მტკვარს პირი წყალით ბინძურით!..
ერთ დროს ანკარა მდინარე
ნარეცხამდეა მისული!

ზოგ ტბაში ჩაკვდა სიცოცხლე,
ზოგან გაშავდა შავი ზღვა!..
ჭუჭყისგან დატყვევებული
სანყალი წყლები დავიხსნათ!

წყალს უმოწყალოდ ექცევა, —
ამით თავს რომ მტრობს, არ ესმის —
ზოგიერთ ვაი-ხელმძღვანელს —
სინდის და ნამუსგარეცხილს!

საყვედურს ვეტყვი რუსთავის
ახლა ქიმიურ ქარხანას:
გაგვიბინძურა მან მტკვარი,
თევზებს შავი დღე აყარა!..

ღელავს მტკვარი და ქიმქარხნის
ხელმძღვანელობა არ ღელავს!
არ ვიცი, ამგვარ საქციელს
რას დაარქმევენ სახელად!

დღეს ჩვენი ზოგი ეზოა
საგიჟეთ-საჟიგულეთი!..
ვერ თამაშობენ ბავშვები,
არა აქვთ კაჟის გულები!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

გაუდაბურდა, მოისპო
ზოგან პარკები, ბაღები,
ან შევიწროვდა მახინჯი
ჯიხურებით და სახლებით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანუხ არს, რომ არ ზრუნავენ
გაშენებაზე ახლების, —
ვისაც ეს საქმე ეხება,
სწორედ ის ამხანაგები!

ჩვენი სიგლახის, სიბრიყვის
მიზეზი არის ჩვენშივე!
თუ ავჩეხთ, გავაჩანაგებთ, —
ვერ შევუნახავთ ტყეს შვილებს!



თუ არ მივხედავთ ამ საქმეს,
დროულად თუ არ მივხედავთ, —
ტყე გაგვიქრება ხელიდან,
შეგვრჩება მარტო სიმღერა!

●

ბუნების დაცვას გვავალებს
კონსტიტუცია ახალი!
მუდამ გვახსოვდეს ეს ჩვენი
მოვალეობა მაღალი!

სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ
და გვისროლია ისარი, —
მისი ზღაპრული ბუნების
დაცვაა ჩვენი მიზანი!

მივბაძოთ ჩვენს ბრძენ მიწდიას —
დიდებულ ნიკო კეცხოველს!
მივბაძოთ ბუნებისათვის
სხვა საამაყო მებრძოლებს!




## „ნიანგის" სამძებრო განყოფილების უწყებები

**1980** წ ლ ი ს 31 იანვარს **მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარის** წყალსადენის ზონაში გაქრა 80 სანტიმეტრი დიამეტრის მუხა და მის გვერდით მდგარი ფაცხა.

**მცხეთის რაიონის მილიციის უფროსს** ვაუწყებთ, რომ მოჭრილი ასწლოვანი მუხა და მის გვერდით მდგარი ფაცხის 26 ბოძი ნაპოვნია ადგილობრივი მკვიდრის — **მიხეილ სოლომონის ძე დ ე მ უ რ ა შ ვ ი ლ ი ს** ეზოში!

**1979** წ ლ ი ს 29 ნოემბერს მშობლიური ბუნაგიდან გამოვიდა და **თლის ხეობაში** უგზო-უკვლოდ დაიკარგა დიდი დათვი — „წითელ წიგნში" შეტანილ თანამოძმეთა სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

**ჯავის რაიონის მილიციის უფროსს** ვაუწყებთ, რომ იმ დათვის ნატყვიარი ტყავი **სოფელ ვანელის** მკვიდრის — **არსენ ჩაბიევის** მზენათელ ოთახში გაფენილი!



ზოგჯერ ტყიდან მოჭრილი ხეები ტრაქტორებით გამოაქვთ, ისპობა ნორჩი მცენარეები, ბუჩქები, ფერდობებს ეროზიის საფრთხე ემუქრება.

# ამოცანა

**მგელი** ყოველ 24 საათში საშუალოდ 3 კილოგრამ ხორცს (თანაც ახალს!) მიირთმევს. ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოსა და მონკავშირის 1980 წლის იანვრის მონაცემებით, ამჟამად საქართველოში 3.975 მგელია. ასე, რომ დღე-ღამეში ისინი 11.925, ხოლო წელიწადში 4.352.625 კილოგრამ ახალ ჩიჩიას მიირთმევენ!

**ამოცანა გვეკითხება გავიგოთ, რამდენი დღე-ღამეა საჭირო ჩვენი ნადირმცოდნეებისაგან სანიგრად და სელექციონერად გამოცხადებული მგლის მიერ რესპუბლიკის მთა-ბარში მცხოვრები 21.922 შვლის, 2.980 ირმისა და 11.500 გარეული ღორის შესაჭმელად, თუ ვიცით, რომ შვლის საშუალო წონაა 15 კილოგრამი, ირმისა — 173, ხოლო გარეული ღორისა — 68?**

## საშინაო დავალება

**ფაუნისა** და ლოგიკური აზროვნების მოყვარულთ შეუძლიათ გამოგვეხმაურონ! სწორი პასუხები და ახალი პრობლემური ამოცანები დაიბეჭდება! ამოცანების შესადგენად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნადირმცოდნეთა სხვა უკანასკნელი მონაცემები, რომლის მიხედვით საქართველოში ამჟამად ბინადრობს: **19.925 ჯიხვი, 13.160 არჩვი, 62.055 კურდღელი, 19.110 ციყვი, 5.895 წავი, 330 ნიამორი, 489 ნუტრია, 14.680 ხოხობი, 164 დურაჯი, 26.306 კაკაბი, 7.010 გნოლი, 46.357 როჭო, 16.350 შურთხი, 37.163 კვერნა; მტაცებელთა რიცხვი კი ასეთია: 11.043 დათვი, 20.109 ტურა, 11.092 გარეული კატა, 37.933 მელა, 693 ფოცხვერი, 22.492 მაჩვი, 751 ენოტისებრი ძაღლი, 97 არწივი, 386 ქორი, 152 შევარდენი; ამავე დროს მონკავშირის წევრია 70.000 კაცი, შხამ-ქიმიკატების მოპოვება შეუძლია 2.571.368 კაცს, ხოლო „წითელი წიგნი" წაკითხული აქვს, ალბათ, 513 ადამიანს!..**

**ვარდო მაფშალია**

ნახ. გ. აბაშიძისა

# ბრაკონიერის ეპიტაფია



არ მწამდა არასდროს ადათი, წესი:
გავწყვიტე ურიცხვი ნადირი, თევზი,
მოვშალე უთვალავ ფრთოსნისა ბუდე,
მოვწამლე ჰაერი, მდინარე, უბე,
დავშანთე ველები, დავლარე მთები,
გავჩეხე ხეები გოლიათები,
ია და ხარ-ჯიხვი, მცირე თუ დიდი,
ყველაფერს, ყველაფერს ვყნოსავდი, ვყიდდი!..
დამეცა სიკვდილი, წამართვა ლელო,
ცოდვილ ვარ, შემინდე, შენ, წამკითხველო!

გიოჲ დიდიძე

## ფრაზები

● ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია წყალობას ველოდოთ ბუნებისაგან მას შემდეგ, რაც იგი გარემოდ გადავაქციეთ.

● ადამიანის მეგობარია თუ არა ძაღლი იმ დროს, როცა მას უყეფს?

„ლიტერატურნაია გაზეტა"

№ 416 80 2.VII

ნახ. ვ. კუციასი



„ეს ყვავილები, ეს ცა, მიუხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?!"

გალაკტიონი



„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან...“

ნახ ა კანდელაკისა



„ავთანდილ გადინადირა...“

გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ზ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე
● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 30/V -80 ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VI-80 ქაღალდის ზომა 70×108$^{1}/_{8}$
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1159 უე 00673 ტირ. 144.50 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.